

8 კლასი

1. უმცირესი მარტივი რიცხვისა და უდიდესი სამნიშნა ლუწი რიცხვის ჯამი ტოლია:

A. 999

B. 1000

C. 10001

2. $\frac{16^{20} * 27^4 * 169^3}{52^6 * 34^4 * (-1)^{122}} = ?$

A. 1

B. 16

C. 144

3. რისი ტოლი არ შეიძლება იყოს ორი მარტივი რიცხვის ნამრავლი?

A. 1

B. 6

C. 221

4. მათესა და ნათიას ორი ყუთი აქვთ. მათეს ყუთში მაკრატელი, მწვანე ფანქარი, სახატავი რვეული და წიგნია. ხოლო ნათიას ყუთში ყვითელი ფანქარი, სახაზავი, და მათესნაირი სახატავი რვეულია. მათეს ყუთში არსებული ნივთები აღვნიშნოთ A სიმბოლოთი, ხოლო ნათიას ყუთში არსებული ნივთები - B. რას უდრის $A \cap B$?

A. მაკრატელი, მწვანე ფანქარი, სახატავი რვეული, წიგნი, სახაზავი, ყვითელი ფანქარი

B. ყვითელი ფანქარი, მწვანე ფანქარი

C. სახატავი რვეული

5. დაალაგეთ კლებადობის მიხედვით: b^3, b^6, b^2

A. b^6, b^3, b^2

B. b^2, b^3, b^6

C. შეუძლებელია დადგენა

6. გასულ წელს ტელევიზორის საწყისი ფასი ჯერ 20%-ით შემცირდა, შემდეგ კი 25%-ით გაიზარდა და მას შემდეგ აღარ შეცვლილა. დღეს ტელევიზორის ფასი გასულ წლის საწყის ფასთან შედარებით არის:

A. უფრო ძვირი

B. უფრო იაფი

C. ტოლი

7. რომელი ტოლობაა ყოველთვის ჭეშმარიტი?

A. $|a| \geq 0$

B. $|a| > 0$

C. არცერთი

8. ნებისმიერი ორი ერთნაირი რიცხვის ნამრავლი ვერსადროს იქნება:

A. უარყოფითი რიცხვი

B. დადებითი რიცხვი

C. ნულის ტოლი

9. კალათაში ყრია 12 კონვერტი. თითოეულ კონვერტში დევს ლურჯი, ნაცრისფერი ან სტაფილოსფერი ბარათი. გადანაწილება შემდეგნაირია: 5 ლურჯი, 4 ნაცრისფერი და დანარჩენი კი სტაფილოსფერი ბარათი. ანას მხოლოდ სტაფილოსფერბარათიანი კონვერტი უნდა. ჩამდენი კონვერტის ამოღება მოუწევს ანას კალათიდან რომ მას 1 სტაფილოსფერბარათიანი კონვერტი აუცილებლად შეხვდეს?

A. 10

B. 12

C. 5

10. ნია და ანთეა მოედნის ცენტრისგან არც თუ მოშორებით დგანან. მათ სურთ მოედნის ცენტრში მოხვედრა. მოედნის ცენტრი საკოორდინატო სისტემის სათავეშია, ხოლო ნია და ანთეა A წერტილში, კოორდინატებით (5; 12) დგანან. მინიმუმ რა მანძილის გავლა მოუწევთ მათ მოედნის ცენტრში მოსახვედრად? (საკოორდინატო სიბრტყის მიხედვით)

A. 17 ერთეული

B. 13 ერთეული

C. 5 ერთეული